

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №540

2018 წლის 14 ნოემბერი

ქ. თბილისი

ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე მუხლის 31-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს:

1. ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესი (დანართი №1).
2. ბაზარზე განთავსებული პროდუქტების რისკის შეფასების ფორმა თანდართული სახით (დანართი №2).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 15 ნოემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

დანართი №1

ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია რისკის ანალიზის, საფუძვლიანი ეჭვის ან პროდუქტთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე ზედამხედველობის განხორციელება, რომელსაც პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (შემდგომში – კოდექსი) შესაბამისად ახორციელებს სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. პროდუქტთან დაკავშირებული დადასტურებული საფრთხის არსებობისას, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე შემზღვეველი ღონისძიების ან ღონისძიებების ერთობლიობის (რეალიზაციის შეჩერება, პროდუქტის ამოღება, პროდუქტის გამოთხოვა ან/და განადგურება) გამოყენების შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ღონისძიებების გამოყენება დამოკიდებულია პროდუქტის მიერ შექმნილი საფრთხის კატეგორიაზე.

4. საფრთხის კატეგორიის შეფასებისათვის სააგენტო ვალდებულია, განახორციელოს რისკის შეფასება ამ წესის მიხედვით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 იანვრის დადგენილება №10 – ვებგვერდი, 09.01.2020წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება



1. ამ წესის მიზნებისათვის ტერმინები განიმარტება ისე, როგორც ეს მოცემულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ტერმინებისა.

2. ამ წესის მიზნებისათვის, გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) პროდუქტი – ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული არასასურსართო პროდუქტი;

ბ) რისკი – პროდუქტთან ან ობიექტთან დაკავშირებული ყველა ის მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც საჭიროებს სახელმწიფო ორგანოსაგან გადაუდებელ ჩარევას, რომელიც გამოითვლება ზიანის დადგომის ალბათობისა და მისი სიმძიმის შეფასების შედეგად;

გ) რისკის შეფასება – პროცესი, რომლის მიხედვითაც ფასდება იმ პროდუქტისგან გამოწვეული რისკის დონე, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან/და უსაფრთხოებას ან/და საკუთრებას ან/და გარემოს და გამოიყენება საფრთხის კატეგორიის განსაზღვრისათვის (საფრთხე, სერიოზული საფრთხე) და ემსახურება კოდექსით გათვალისწინებული შემზღვეველი ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას;

დ) ზიანი – ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების ან გარემოსთვის მიყენებული დაზიანება;

ე) საფრთხე – ზიანის პოტენციური წყარო;

ვ) დაზიანების სცენარი – თეორიულად ჩამოყალიბებული და პროდუქტთან დაკავშირებული მოქმედება ან/და მოქმედებათა ერთობლიობა ან მათი განვითარება, რომელსაც შეუძლია ზიანის გამოწვევა;

ზ) დასაშვები რისკი – რისკი, რომელიც მოცემულ კონტექსტში დასაშვებია არსებულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებების საფუძველზე;

თ) დაზიანების სიმძიმე – დაზიანების სცენარით გათვალისწინებულ გარემოებაში, მომხმარებელზე საფრთხიდან გამომდინარე გამოწვეული შესაძლო ეფექტი.

მუხლი 3. რისკის შეფასების დაწყების საფუძველები

1. რისკის შეფასების დაწყების საფუძველია პროდუქტის შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტთან შეუსაბამობის დადასტურებული ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები:

- ა) უბედური შემთხვევა, ავარია;
- ბ) ეკონომიკური ოპერატორისგან ან უშუალო მომხმარებლისგან მიღებული შეტყობინება პროდუქტთან დაკავშირებული შეუსაბამობების შესახებ;
- გ) სააგენტოს მიერ გეგმური შემოწმებებისა და დაგროვილი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, ასევე არაგეგმური შემოწმებების შედეგად კონკრეტულ პროდუქტზე მოპოვებული ინფორმაცია და აღებული ნიმუშების კვლევის შედეგები;
- დ) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნების ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებიდან მოწოდებული ინფორმაცია დადასტურებული საფრთხის შემცველი პროდუქტების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული შემთხვევებისას უნდა განხორციელდეს პროდუქტთან დაკავშირებული მონაცემების გამოთხოვა ეკონომიკური ოპერატორებისგან ან/და სხვა შესაბამისი პირებისგან ყველა ჩატარებული გამოცდის, შემოწმებებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის შესახებ, რომლითაც დადასტურდება პროდუქტის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა.

მუხლი 4. რისკის შეფასების იტაპები



რისკის შეფასების ეტაპებია:

- ა) პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხისგან გამოწვეული დაზიანების სცენარისა და დაზიანების სიმძიმის განსაზღვრა;
- ბ) პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხისგან გამოწვეული დაზიანების ალბათობის განსაზღვრა;
- გ) რისკის დონის განსაზღვრა პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხისგან გამოწვეული დაზიანების სიმძიმის დაკავშირებით მის ალბათობასთან.

მუხლი 5. საფრთხის კატეგორიის განსაზღვრის წესი

1. საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისათვის, სააგენტოს მიერ შეფასებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

- ა) პროდუქტი და მისგან გამოწვეული საფრთხე;
 - ბ) საფრთხე დაკავშირებულია მთლიანად პროდუქტთან, თუ პროდუქტის ცალკეულ ნაწილთან. აღნიშნულ პროდუქტთან დაკავშირებულია მხოლოდ ერთი თუ რამდენიმე საფრთხე;
 - გ) პროდუქტთან დაკავშირებული სტანდარტები და კანონმდებლობა;
 - დ) პოტენციური მომხმარებელი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს საფრთხის შემცველი პროდუქტის მიერ ზიანის სავარაუდო სცენარში;
 - ე) დაზიანების სცენარი, რომელშიც შერჩეული პროდუქტისგან წარმოქმნილი საფრთხე იწვევს შერჩეული მომხმარებლის ჯანმრთელობის ზიანს. დაზიანების სცენარის შედგენის დროს, არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იყოს ინფორმაცია პროდუქტთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების შესახებ, ასევე პროდუქტის გამოყენების შესახებ კვლევა ან სამეცნიერო ლიტერატურა. დაზიანების სცენარი განისაზღვრება ამ წესის №1 დანართის №7 ცხრილის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ცხრილში მოცემული არ არის შესაბამისი დაზიანების სცენარი, სააგენტოს შესაბამისი ზედამხედველობის სამმართველოს თანამშრომელი თავად წერს აღნიშნულ სცენარს;
 - ვ) შესაბამის შემთხვევებში, ზიანის საფეხურები. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანების სცენარის მიხედვით არის რამდენიმე პარალელური ზიანი, ის გათვალისწინებული უნდა იქნეს ერთ სცენარში;
 - ზ) პროდუქტის გამოყენების სიხშირე და ხანგრძლივობა, საფრთხის გაცნობიერების შესაძლებლობა მომხმარებლის მიერ, მომხმარებლის ჯგუფი (განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები), ასევე დამცავი აღჭურვილობა, მომხმარებლის ქცევა უბედური შემთხვევის შემთხვევაში, სამომხმარებლო ჩვევები. მომხმარებლის ჯგუფები განისაზღვრება ამ წესის №1 დანართის №6 ცხრილის მიხედვით;
 - თ) ზიანის სიმძიმე წესის №1 დანართის №1 და №2 ცხრილების შესაბამისად. თუ მომხმარებელს მიადგარამდენიმე სახის ზიანი, ყველა ზიანის სიმძიმე უნდა იყოს ერთობლივად შეფასებული;
 - ი) დაზიანების სცენარის ალბათობა, ასევე დაზიანების სცენარის თითოეული საფეხურის ალბათობის დადგენა და მათი შეკრება, რათა დადგინდეს დაზიანების სცენარის მთლიანი ალბათობა წესის №1 დანართის №3 ცხრილის მიხედვით;
 - კ) რისკის დონე. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ზიანის სიმძიმისა და დაზიანების სცენარის მთლიანი ალბათობის კომბინირებით წესის №1 დანართის №4 ცხრილის მიხედვით.
2. რისკის დონის შეფასების შემდგომი ეტაპია საფრთხის კატეგორიის განსაზღვრა წესის №1 დანართის №5 ცხრილის მიხედვით და გადაწყვეტილების მიღება პროპორციული და ადეკვატური შემზღვეველი ღონისძიების შესახებ.



მუხლი 6. რისკის შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება

1. პროდუქტით გამოწვეული საფრთხის კატეგორიის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მწარმოებლის მიერ პროდუქტისთვის ინსტრუქციით განსაზღვრული გამოყენების დანიშნულება;

ბ) პროდუქტის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა მოწყვლადი ჯგუფების მიერ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტო ვალდებულია, შეადგინოს დაზიანების სცენარი.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტმა შესაძლოა, გამოიწვიოს რამდენიმე ზიანი ან რამდენიმე დაზიანების სცენარი უკავშირდება ერთსა და იმავე ტიპის ზიანს, უნდა მოხდეს ყველა სცენარის გაანალიზება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცალსახაა, რომ რომელიღაც სახის სცენარებს მივყავართ დასაშვები დონის რისკამდე.

4. პროდუქტთან დაკავშირებული შეუსაბამობით გამოწვეული ზიანის განსაზღვრის მიზნით, სააგენტო ვალდებულია, გაითვალისწინოს თითოეული დაზიანების სცენარის საბოლოო შედეგის შეფასება, რომელიც საბოლოოდ გამოიხატება ზიანის სიმძიმით.

5. ზიანის ალბათობის განსაზღვრისათვის სააგენტო ვალდებულია, გაითვალისწინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საფრთხის ან ხარვეზის გამოვლენის მოსალოდნელობა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში;

ბ) საფრთხის მასშტაბი;

გ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პროდუქტის შეუსაბამობასა და შესაძლო ზიანს შორის, რაც გულისხმობს გამოკვლევას, რამდენად მოსალოდნელია, რომ ზიანი დადგება პროდუქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის (ხარვეზის) შემთხვევაში.

მუხლი 7. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის კატეგორიის განსაზღვრის თითოეული შემთხვევისათვის გადაწყვეტილება და რისკის შეფასების პროცესი უნდა ჩამოყალიბდეს დეტალური ანგარიშის სახით, რომელიც წარედგინება სააგენტოს უფროსს.

2. რისკის შეფასება უნდა განხორციელდეს სააგენტოს შესაბამისი ზედამხედველობის სამმართველოს არანაკლებ ორი თანამშრომლისგან შემდგარი ჯგუფის მიერ, შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ანალიზში ჩართულმა თითოეულმა თანამშრომელმა დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს საფრთხის კატეგორია;

ბ) ინდივიდუალური შეფასების შემდეგ ჯგუფის წევრებმა ანალიზის შედეგების შეჯერების შედეგად უნდა მიიღონ საერთო შეფასება;

გ) შედეგებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრის შემთხვევაში, ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია, წარადგინოს საკუთარი ანგარიში შენიშვნებით.

3. იმ პროდუქტების რისკის შეფასებისას, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა საფრთხის თავიდან ასაცილებლად (მაგ.: პერსონალური დაცვის აღჭურვილობა), გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მათი დანიშნულებისამებრ ფუნქციონირების გამართულობა.

4. რისკის შეფასებისას შესაბამის შემთხვევებში გათვალისწინებული უნდა იყოს ბაზარზე განთავსებული და გაყიდული პროდუქტების მოცულობა.



5. რისკის კატეგორიის შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი დაზიანების სცენარი, რომლის შემთხვევაშიც დამდგარი ზიანი უშუალოდ და მეტწილად დაკავშირებულია პროდუქტთან.

6. რისკის შეფასების საბოლოო შედეგები გამოიხატება წესის №1 დანართის №4 ცხრილში მოცემული რისკის დონით.

7. საფრთხის კატეგორია განისაზღვრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ალბათობა, რომ ზიანი მიადგება საკუთრებას ან/და გარემოს. საფრთხის კატეგორიის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს საკუთრების ან/და გარემოს დაზიანების შედეგად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის წარმოქმნილი საფრთხეც.

8. იმ შემთხვევაში, როცა პროდუქტი შეიცავს გარემოსთან ან/და საკუთრებასთან დაკავშირებულ საფრთხეს, რომლის შეფასებაც შეუძლებელია ამ რეგლამენტით გათვალისწინებული წესის, მათ შორის, წესის №1 დანართის №1 – №7 ცხრილებში შესაბამისი სცენარის ან/და ზიანის სიმძიმის კრიტერიუმის არარსებობის გამო, სააგენტოს მიერ საფრთხის კატეგორია განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 8. რისკის შეფასების ფორმის შევსების წესი

1. ინფორმაცია პროდუქტის შესახებ უნდა შეივსოს საკვლევი პროდუქტის მონაცემების მიხედვით, მათ შორის, პროდუქტის დასახელება, პროდუქტის კატეგორია და პროდუქტის აღწერა (მაგალითისთვის იხილეთ შესაბამისი პროდუქტის დანართი №2-ის ნიმუში №1 – №6).

2. პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხე, საფრთხის ჯგუფი – შესაბამის ველში იწერება პროდუქტისგან მომდინარე კონკრეტული საფრთხის ჯგუფის შინაარსი ისეთი, როგორცაა: კინეტიკური საფრთხე, რადიაციული, პროდუქტის ფორმით გამოწვეული და ა.შ. იხ. წესის №1 დანართის №7 ცხრილის I სვეტი.

3. პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხე, საფრთხე – შესაბამის ველში იწერება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფრთხის ჯგუფის შესაბამისი, რომელიმე კონკრეტული საფრთხე, რომელსაც ირჩევს რისკის შეფასების ფორმის შემვსები პირი, განსახილველ პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის შინაარსიდან გამომდინარე. იხ. წესის №1 დანართის №7 ცხრილის II სვეტი.

4. მომხმარებლის ჯგუფი – შესაბამის ველში იწერება წესის №1 დანართის №6 ცხრილში არსებული მომხმარებლის ის ჯგუფი, რომელსაც შესაძლოა, ზიანი მიადგეს შეუსაბამო პროდუქტისგან.

5. როგორ იწვევს საფრთხე დაზიანებას, ტიპური დაზიანების სცენარი – შესაბამის ველში იწერება ამ მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული საფრთხის შესაბამისი დაზიანების სცენარი, რომელიც მოცემულია წესის №1 დანართის №7 ცხრილის III სვეტში, ამავე ცხრილის II სვეტში მოცემული საფრთხის გასწვრივ.

6. როგორ იწვევს საფრთხე დაზიანებას, კონკრეტული დაზიანების სცენარი – შესაბამის ველში იწერება ტიპური დაზიანების სცენარი (იგივე შინაარსი, რაც დაიწერა ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად) ან განსხვავებული სცენარი, რომელსაც ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეადგენს რისკის შეფასების ფორმის შემვსები პირი.

7. დაზიანების სიმძიმე, ტიპური დაზიანება – შესაბამის ველში იწერება ზიანის ტიპური სცენარის შესაბამისი საბოლოო შედეგი – ტიპური ზიანი, რომელიც მოცემულია წესის №1 დანართის №7 ცხრილის IV სვეტში, ამავე ცხრილის III სვეტში მოცემული ზიანის ტიპური სცენარის გასწვრივ.

8. დაზიანების სიმძიმე, კონკრეტული დაზიანება – შესაბამის ველში იწერება ზიანის ტიპის შესაბამისი კონკრეტული ზიანი, რომელიც აირჩევა წესის №1 დანართის №2 ცხრილში მოცემულ II, III, IV, V სვეტებში მოცემული დაზიანებების ჩამონათვალიდან, რომელსაც ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეარჩევს რისკის შეფასების ფორმის შემვსები პირი.

9. დაზიანების სიმძიმის ველში იწერება ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად შევსებული



კონკრეტული დაზიანების შესაბამისი სიმძიმის აღნიშვნელი ციფრი, რომელიც მოცემულია წესის №1 დანართის №2 ცხრილის II რიგში.

10. დაზიანების ალბათობა, საფეხურები დაზიანებამდე – ველში იწერება დაზიანების სცენარის შემადგენელი თითოეული საფეხური, რომლებიც უშუალოდ იწვევენ დაზიანებას. სცენარს შესაძლოა, გააჩნდეს რამდენიმე საფეხური, ასეთ შემთხვევაში ივსება რამდენიმე „საფეხურები დაზიანებამდეს“ შესაბამისი ველი, რომელსაც ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შესაბამისად ავსებს რისკის შეფასების ფორმის შემვსები პირი.

11. დაზიანების ალბათობა, ალბათობა თითოეული საფეხურისათვის – შესაბამის ველში იწერება ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად შევსებული თითოეული საფეხურის მოხდენის ალბათობა, რომელიც გამოითვლება ფაქტობრივ გარემოებებზე, სტატისტიკურ მონაცემებზე, ინჟინერულ ცოდნასა და ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

12. ფორმის ბოლოში მოთავსებულ ველში – „დაზიანების სიმძიმე“ – იწერება კონკრეტული დაზიანების შესაბამისი სიმძიმის აღნიშვნელი ციფრი, რომელიც მითითებულია ამ მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით შევსებულ ველში.

13. ფორმის ბოლოში მოთავსებულ ველში – „გამოთვლილი ალბათობა“ იწერება ამ მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით შევსებული დაზიანების სცენარის თითოეული საფეხურის შესაბამისი ალბათობების ნამრავლი.

14. ფორმის ბოლოში მოთავსებულ ველში – „მთლიანი ალბათობა“ იწერება წესის №1 დანართის №3 ცხრილში მითითებული რისკის ალბათობის სტატისტიკური მნიშვნელობა, რომელსაც შეესაბამება „გამოთვლილი ალბათობა“.

15. ფორმის ბოლოში მოთავსებულ ველში – „რისკის დონე“ იწერება საბოლოო რისკი, რომელიც დგინდება წესის №1 დანართის №4 ცხრილის მიხედვით დაზიანების სიმძიმისა და დაზიანების ალბათობის (მთლიანი ალბათობა) კომბინაციით.

მუხლი 9. ბაზარზე განთავსებული ლიფტის, ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების, წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლებისა და თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაზე დანადგარების) საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასებისათვის გამოსაყენებელი ინფორმაცია

1. ბაზარზე განთავსებული ლიფტის საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასებისათვის დამატებით გამოიყენება აღნიშნული პროდუქტისათვის განსაზღვრული წესის №2 დანართით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასებისათვის დამატებით გამოიყენება აღნიშნული პროდუქტისათვის განსაზღვრული წესის №2 დანართით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3. წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასებისათვის დამატებით გამოიყენება აღნიშნული პროდუქტისათვის განსაზღვრული წესის №2 დანართით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4. წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასებისათვის დამატებით გამოიყენება აღნიშნული პროდუქტისათვის განსაზღვრული წესის №2 დანართით გათვალისწინებული მოთხოვნები.

5. თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაზე დანადგარების) საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასებისათვის დამატებით გამოიყენება აღნიშნული პროდუქტისათვის განსაზღვრული წესის №2 დანართით გათვალისწინებული მოთხოვნები.



ადამიანისათვის მიყენებული ზიანის სიმძიმე (ზოგადი კრიტერიუმები)

ცხრილი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქტისაგან გამოწვეული ზიანი არ არის გათვალისწინებული ამ დანართის №2 ცხრილში და ადგენს ზოგად კრიტერიუმებს ადამიანისათვის მიყენებული დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის და გამოიყენება ამ დანართის №4 ცხრილში რისკის დონის დადგენის მიზნით.



ზიანის სიმძიმე	ზიანი
1	დაზიანებები ან შედეგები, რომლებიც მკურნალობის შემდეგ (პირველადი დახმარება, არა ექიმის მიერ) არსებითად არ აფერხებს ფუნქციონირებას ან არ იწვევს ჭარბ ტკივილს; დაზიანებები სრულიად შექცევადია.
2	დაზიანება ან შედეგი, რისთვისაც საჭიროა ექიმთან ვიზიტი, მაგრამ ზოგადად, ჰოსპიტალიზაცია არ არის საჭირო. ფუნქციონირებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს შეზღუდული პერიოდის განმავლობაში არა უმეტეს 6 თვისა და ფუნქციონირების აღდგენა შესაძლებელია მეტ-ნაკლებად სრულად.
3	დაზიანება ან შედეგი, რომელიც ჩვეულებრივ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას და მოქმედებს ფუნქციონირებაზე 6 თვეზე მეტი ხნით ან იწვევს ფუნქციის მუდმივად დაზიანებას.
4	დაზიანება ან შედეგი, რომელიც შეიძლება იყოს ფატალური, ტვინის სიკვდილის ჩათვლით; შედეგები, რომლებიც გავლენას ახდენს რეპროდუქციაზე ან შთამომავლობაზე; შეუქცევადი დაკარგვა კიდურების ან/და მათი ფუნქციის, რაც იწვევს ადამიანის შესაძლებლობების დაახლოებით 10% -ზე მეტ შეზღუდვას.

ცხრილი №2

ადამიანისათვის მიყენებული ზიანის სიმძიმე

ცხრილი განსაზღვრავს ადამიანისათვის მიყენებული კონკრეტული დაზიანებების სიმძიმეს და გამოიყენება ამ დანართის №4 ცხრილში რისკის დონის დადგენის მიზნით.

	I სვეტი	II სვეტი	III სვეტი	IV სვეტი	V სვეტი
I რიგი	ზიანის ტიპი	ზიანის სიმძიმე			
II რიგი		1	2	3	4
III	ლაცერაცია ნაჭდევებით/ჭრილობა, გაჭრა	ზედაპირული	გარეგანი (ღრმა) (>10 სმ სიგრძეზე სხეულზე >5 სმ სიგრძეზე სახეზე) საჭიროებს ნაკერებს	ბოჭკოვანი ნერვის; კისრის; არტერიის; ტრაქეის; სხვა შინაგანი ორგანოების.	ბრონქული მილის; საყლაპავი მილის; აორტის, ზურგის ტვინის დაზიანება

			მყესებზე ან სახსრებზე თვალის რქოვანაზე ან თვალის თეთრ გარსზე		(დაბალი სიმძიმის); შინაგანი ორგანოების ღრმა კრილობა; ზურგის ტვინის მაღალი სიმძიმის დაზიანება; ტვინის მძიმე დაზიანება/ დისფუნქცია
IV	სისხლ ჩაქცევა (ნაკაწრი/ კონტუზია, გასიება, შეშუპება)	ზედაპირული ≤ 25 სმ ² სახეზე ≤ 50 სმ ² სხეულზე	დიდი >25 სმ ² სახეზე >50 სმ ² სხეულზე	ტრაქეის; შინაგანი ორგანოების (უმნიშვნელო); გულის; ტვინის; ფილტვების; სისხლი ან ჰაერი მკერდში	ტვინის ღეროს; ზურგის ტვინის რომელიც იწვევს პარალიზებას (დამზლას).
V	გონების დაკარგვა/ტვინის შერყევა		ძალიან მოკლე უგონო მდგომარეობა (რამდენიმე წუთი)	ხანგრძლივი უგონო მდგომარეობა	კომა
VI	ორგანოს მოყოლა/ღრმობა	უმნიშვნელო		(გამოიყენება მოტეხილობის, ღრმობა, ამპუტაციის საბოლოო შედეგები: შესაბამის შემთხვევებში)	(გამოიყენება გაგუდვისა და დახრჩობის შედეგები)
VII	დაჭიმულობა, მვალკუნთოვანი დარღვევა, ღრმობ		კიდურების; (თითები, ხელები, ფეხის ტერფი) იდაყვის; ყბის; კბილების დაკარგვა; მუხლის ლიგატების დაძაბვა.	იოგების ან მყესის გაწყვეტა; კუნთის გაწყვეტა;	ხერხემლის დაზიანება

VIII	მოტეხილობა		კიდურების (თითები, ხელები, ფეხის ტერფი) მაჯის, მკლავის, ნეკნის, მკერდის ძვლის, ცხვირის, კბილების, ყბის, თვალის გარშემო არსებული ძვლების	ტერფის; (მენჯის ბარძაყი, მენჯბარძაყის სახსარის; თეძოს; თავის ქალის; ხერხემლის (მცირე მოტეხილობა) ყბის მძიმე მოტეხილობა; ხორხის; რამდენიმე ნეკნის მოტეხილობა; სისხლი ან ჰაერი მკერდის არეში.	კისრის ხერხემლის დაზიანება
IX	გაჭყლეტვა/ზეჯახება/დაცემა			კიდურების (თითები, ხელები, ფეხის ტერფი); იდაყვის; ტერფის; მაჯის; წინამხარის; ფეხის; მხარის; ტრაქეას; ხორხის; მენჯის.	ზურგის ტვინის; კისერის; გულ-მკერდის არე (ძლიერი დარტყმა); ტვინის ღეროს დაზიანება.
X	ამპუტაცია			თითები; ხელი; ფეხის ტერფი; მკლავის ნაწილები; მკლავი; ფეხი; თვალი.	ორივე კიდური
	ჩხვლეტა/გამჭოლი ჭრილობა/პენეტრაციული დაზიანება	შეზრუდული სიღრმე, მხოლოდ კანის დაზიანება	კანის ღრმა ან სიღრმისეული დაზიანება (ორგანოების დაზიანების გარეშე)	თვალის; შინაგანი ორგანოების; გულმკერდის არეს.	აორტას; გულის; ბრონქული მილის; ღვიძლის, თირკმლის, ნაწლავის, და სხვა ორგანოების ღრმა დაზიანებები
XI	გადაც			შინაგან	შინაგანი

	დომა/გადაყლაპვა			ორგანოების დაზიანება (მოიცავს ასევე შიდა საუნთქი გზების დაზიანებას, როდესაც ჩაყლაპული ობიექტი მოხვდება საყლაპავში)	ორგანოების შეუქცევადი დაზიანება
XII	შინაგანი სასუნთქი გზების დაზიანება			ტვინისათვის ჟანგბადის მიწოდების შეზღუდვა შეუქცევადი შედეგების გარეშე	ტვინისათვის ჟანგბადის მიწოდების შეზღუდვა შეუქცევადი შედეგებით
XIII	ასფიქსია, ხუთვა, ხრჩობა, გულდვა			ტვინისათვის ჟანგბადის მიწოდების შეზღუდვა შეუქცევადი შედეგების გარეშე	ფატალური ხუთვა/ხრჩობა
XIV	დახრჩობა/ჩადირვა				ფატალური დახრჩობა
XV	დაწვა/დამწვრობა/დამღვრა	1° - სხეულის ზედაპირის 100% - მდე 2° - სხეულის ზედაპირის 6% - ზე ნაკლები	2° - სხეულის ზედაპირის 6% - დან 15% - მდე	2° - სხეულის ზედაპირის 16% - დან 35% - მდე სასუნთქი გზების დამწვრობა	2° ან 3° - სხეულის ზედაპირის 35% - ზე მეტი სასუნთქი გზების დამწვრობა რომელიც მოითხოვს რესპირაციულ ჩარევას
XVI	ელექტროშოკი	(გამოიყენება დამწვრობის შედეგები)	ადგილობრივი ეფექტები (დროებითი კრუნჩხვა ან კუნთების პარალიზი)		სასიკვდილო ელექტროტრავმა
XVII	ნევროლოგიუ			გამოიწვია ეპილეფსიური	

	რი დარღვევა			შეტევა	
XVIII	თვალის დაზიანება, უცხო სხეულის თვალში	დროებითი ტკივილი თვალის მიდამოში ჩარევის საჭიროების გარეშე	მხედველობის დროებითი დაკარგვა	მხედველობის ნაწილობრივი დაკარგვა; მხედველობის მუდმივი დაკარგვა (ცალთვალზე)	მხედველობის მუდმივი დაკარგვა ორივე თვალში
XIV	სმენის დარღვევა, უცხო სხეულის ყურში	დროებითი ტკივილი ყურის მიდამოში ჩარევის საჭიროების გარეშე	სმენის დროებითი დარღვევა	სმენის ნაწილობრივი დაკარგვა; სმენის მუდმივი დაკარგვა (ცალყურში)	სმენის სრული დაკარგვა ორივე ყურში
XV	მოწამვლა (ჩაყლაპვით, ჩასუნთქვით, შეხებით)	დიარეა, ღებინება, ადგილობრივი სიმპტომები	შექცევადი დაზიანება შიდა ორგანოების, მაგ. ღვიძლის, თირკმლის, მცირე ჰემოლიზური ანემია	შეუქცევადი დაზიანება შიდა ორგანოების მაგ: საყლაპავი, კუჭის, ღვიძლის, თირკმლის, ჰემოლიზური ანემია, შექცევადი დაზიანება ნერვული სისტემა	ნერვული სისტემის, შეუქცევადი დაზიანება ფატალური შედეგი
XVI	გაღიზიანება, დერმატიტი, ანთება ან ნივთიერებების კოროზიული	ადგილობრივი უმნიშვნელო გაღიზიანება	შექცევადი ტვალის დაზიანება შექცევადი სისტემური ეფექტები ანთებითი ეფექტები	ფილტვები; რესპირატორული უკმარისობა; ქიმიური პნევმონია; შეუქცევადი სისტემური ეფექტები; მხედველობის ნაწილობრივი	ფილტვების დაზიანება რომელიც საჭიროებს რესპირატორულ ჩარევას, ასფიქსია.

	ეფექტი (სასუნთქი, კანის)			დაკარგვა; კოროზიული ეფექტები	
XVII	ალერგიული რეაქცია	მსუბუქი ან ადგილობრივი ალერგიული რეაქცია	ალერგიული რეაქცია; ფართოდ გავრცელებული ალერგიული დერმატიტი	ძლიერი ალერგიული რეაქცია	ანაფილაქციური რეაქცია; შოკი; ფატალური შედეგი.
XVIII	ნივთიერებებთან კონტაქტის ან რადიაციული გამოსხივების შედეგად მიღებული ხანგრძლივი დაზიანება	ღიარება, ღებინება, ადგილობრივი სიმპტომები	მცირე ჰემოლიზური ანემია; ღვიძლის, თირკმლის და სხვა შიდა ორგანოების შექცევადი დაზიანება	ნერვული სისტემის დაზიანება მათ შორის - ორგანული ფსიქოზული სინდრომი (ქრონიკული ტოქსიკური ენცეფალოპათია) ; საყლაპავი მილის, კუჭის, ღვიძლის, თირკმლის და სხვა შიდა ორგანოების შექცევადი დაზიანება, ნერვული სისტემის შექცევადი დაზიანება და ჰემოლიზური ანემია.	კიბო (ლეიკემია) უარყოფითი ეფექტი რეპროდუქცია- ზე; უარყოფითი ეფექტი ნაყოფზე მომავალ შთამომავლობაზე; ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება.
	მიკრობიოლოგიური ინფექცია		შექცევადი დაზიანება	შექცევადი დაზიანება	ინფექციური რომელიც მოითხოვს ხანგრძლივ ჰოსპიტალიზაციას; ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი ორგანიზმებით

					ინფექცია; ფატალური შედეგი.
--	--	--	--	--	----------------------------------

ცხრილი №3

რისკის ალბათობის სტატისტიკური მნიშვნელობები

ცხრილში მოცემულია რისკის ალბათობების სტატისტიკური მნიშვნელობები 0.000001 - დან 1-მდე და გამოიყენება ამ დანართის №4 ცხრილში რისკის დონის დადგენის მიზნით.

რისკის ალბათობის სტატისტიკური მნიშვნელობა	ალბათობის აღწერა
>50%	მოსალოდნელი
>1/10	საკმაოდ შესაძლებელი
>1/100	უჩვეულო მაგრამ შესაძლებელი
>1/1000	მხოლოდ უმნიშვნელოდ შესაძლებელი
>1/10000	შესაძლებელი მაგრამ უმეტესად მოულოდნელი
>1/100000	პრაქტიკულად შეუძლებელი
>1/1000000	შეუძლებელი განზრახი ქმედების გარეშე
>1/10000000	შეუძლებელი

ცხრილი №4

რისკის დონე

ცხრილი ადგენს საბოლოო რისკის დონეს, რომელიც გამოითვლება ამ დანართის №1 და №2 ცხრილებში მოცემული შესაბამისი დაზიანების სიმძიმისა და №3 ცხრილში მოცემული რისკის ალბათობების სტატისტიკური მნიშვნელობებით.

ზიანის სიმძიმისა და მთლიანი ალბათობის კომბინაცია					
ზიანის სიმძიმე		4	3	2	1
მთლიანი ალბათობა					
მოსალოდნელი	>50%	სერიოზული რისკი	სერიოზული რისკი	სერიოზული რისკი	მაღალი რისკი
საკმაოდ შესაძლებელი	>1/10	სერიოზული რისკი	სერიოზული რისკი	სერიოზული რისკი	მნიშვნელოვანი რისკი
უჩვეულო მაგრამ შესაძლებელი	>1/100	სერიოზული რისკი	სერიოზული რისკი	სერიოზული რისკი	მნიშვნელოვანი რისკი
მხოლოდ უმნიშვნელოდ შესაძლებელი	>1/1000	სერიოზული რისკი	სერიოზული რისკი	მაღალი რისკი	დაბალი რისკი
შესაძლებელი მაგრამ უმეტესად მოულოდნელი	>1/10000	სერიოზული რისკი	მაღალი რისკი	მნიშვნელოვანი რისკი	დაბალი რისკი
პრაქტიკულად შეუძლებელი	>1/100000	მაღალი რისკი	მნიშვნელოვანი რისკი	დაბალი რისკი	დაბალი რისკი
შეუძლებელი განზრახ ქმედების გარეშე	>1/1000000	მნიშვნელოვანი რისკი	დაბალი რისკი	დაბალი რისკი	დაბალი რისკი
შეუძლებელი	<1/1000000	დაბალი რისკი	დაბალი რისკი	დაბალი რისკი	დაბალი რისკი

ცხრილი №5

რისკის დონის შესაბამისი საფრთხის კატეგორიები

ცხრილი გამოიყენება რისკის დონის დადგენის შემდეგ საფრთხის კატეგორიის განსაზღვრის მიზნით შესაბამისი შემზღვეველი ღონისძიების გამოყენების შესახებ განაწყვეტილების მიღებისათვის.

რისკის დონე	საფრთხის კატეგორია
დაბალი რისკი	საფრთხე
მნიშვნელოვანი რისკი	სერიოზული საფრთხე
მაღალი რისკი	
სერიოზული რისკი	

ცხრილი №6

მომხმარებელთა ჯგუფები

მომხმარებლის ჯგუფი	აღწერა
ძალიან მოწყვლადი მომხმარებელი	0-დან 36 თვემდე ბავშვები, ფართო და კომპლექსური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები
მოწყვლადი მომხმარებელი	36 თვიდან - 14 წლამდე ბავშვები, შემცირებული ფიზიკური, მგრძნობელობითი ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირები (მაგ. ნაწილობრივ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მოხუცები, მათ შორის 65 წელზე მეტი ასაკის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გარკვეული შეზღუდვებით)
სხვა მომხმარებლები	მომხმარებლები გარდა ძალიან მოწყვლადი და მოწყვლადი მომხმარებლებისა

ცხრილი №7

პროდუქტის თითოეული ტიპის მიხედვით სავარაუდო საფრთხე, ტიპური დაზიანების სცენარები და ტიპური დაზიანებები

ცხრილი გამოიყენება ზიანის სცენარის შედგენისათვის

I სვეტი	II სვეტი	III სვეტი	IV სვეტი
საფრთხის უგუფი	საფრთხე (პროდუქტი, საგანი)	ზიანის ტიპური სცენარი	ტიპური ზიანი
ზომა, ფორმა და ზედაპირი	<p>პროდუქტი ქმნის დაბრკოლებას</p> <p>პროდუქტი წყალგაუმტარია</p> <p>პროდუქტი არის პატარა ზომის ან შედგება პატარა დეტალების/ნაწილები საგან</p> <p>შესაძლებელია პროდუქტის მცირე დეტალის/ნაწილის მოკბეჩა</p> <p>ბასრი კუთხე ან წერტილი</p> <p>ბასრი წიბო</p>	<p>ადამიანი ცდილობს პროდუქტის მიერ შექმნილი დაბრკოლების გადალახვას (გადაბიჯება) და ეცემა; ადამიანი ეჯახება საგანს</p> <p>პროდუქტი ფარავს პირს ან ცხვირს (ძირითად შემთხვევებში), ან ფარავს შიდა სასუნთქ გზებს</p> <p>ადამიანი (ბავშვი) ყლაპავს პატარა ზომის პროდუქტს ან დეტალს/ნაწილს, რომელიც ხვდება ხორხში და ახშობს სასუნთქ გზებს</p> <p>ადამიანი (ბავშვი) ყლაპავს მცირე დეტალს/ნაწილს; დეტალი ხვდება საჭმლის მომწელებელ სისტემაში</p> <p>ადამიანი ეჯახება ბასრ კუთხეს ან მას ხვდება მოძრავი ბასრი ობიექტი; ეს იწვევს ჩხვლეტას ან პენტრაციულ დაზიანებას</p> <p>ადამიანი ეხება ბასრ წიბოს; ეს აზიანებს კანს ან იწვევს ლაცერაციას ნაჭდევებით.</p> <p>ადამიანი გადაადგილდება</p>	<p>სისხლჩაქცევა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა/გონების დაკარგვა</p> <p>გაგუდვა</p> <p>გუდვა/ზრჩობა, შიდა სასუნთქი გზების დახშობა</p> <p>საჭმლის მომწელებელი სისტემის დაზიანება</p> <p>ჩხვლეტა, დაბრმავება, უცხო სხეული თვალში, სმენის დარღვევა, უცხო სხეული ყურში</p> <p>ლაცერაცია ნაჭდევებით; კანის გაჭრა; ამპუტაცია</p>

	<p>სრიალა ზედაპირი</p> <p>უხეში ზედაპირი</p> <p>დეტალებს/ნაწილებს შორის არსებული სივრცე ან ღიობი</p>	<p>ზედაპირზე, სრიალდება მასზე და ეცემა</p> <p>ადამიანი სრიალით გადაადგილდება უხეშ ზედაპირზე; ეს იწვევს ძლიერ ხახუნს და ნაკაწრს</p> <p>ადამიანი კიდურით ან სხეულით სინჯავს სივრცეს ან მისი თითი, მხარი, კისერი, თავი სხეული ან ტანსაცმელი იჭედება ღიობში; დაზიანებას იწვევს გრავიტაცია ან მოძრაობა</p>	<p>სისხლჩაქცევა; მოტეხილობა, ტვინის შერყევა/გონების დაკარგვა</p> <p>ნაკაწრი</p> <p>გაჭყლეტვა; მოტეხილობა, ამპუტაცია, სისხლის მიწოდების დაბრკოლება სხეულის მოჭერა</p>
<p>პოტენციური ენერჯია</p>	<p>დაბალი მექანიკური სტაბილურობა</p> <p>დაბალი მექანიკური სიმტკიცე</p>	<p>პროდუქტი ირხევა. ადამიანი ვარდება სიმალიდან ან პროდუქტთან ახლოს მყოფი ადამიანი ზიანდება მასთან დაჯახების შედეგად. ელექტრო პროდუქტი ტყდება და შესაძლებელი ხდება ღია ნაწილებთან შეხება ან აგრძელებს მუშაობას ისე, რომ ათბობს ახლომდებარე ზედაპირებს</p> <p>პროდუქტი იშლება გადატვირთვისგან; პროდუქტზე მდგარი ადამიანი ვარდება სიმალიდან, ან პროდუქტთან ახლოს მყოფი ადამიანი ზიანდება</p>	<p>სისხლჩაქცევა; ღრძობა, დაჭიმვა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა/გონების დაკარგვა; გაჭყლეტვა, ელექტრო შოკი, დამწვრობა</p> <p>სისხლჩაქცევა; ღრძობა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა/გონების დაკარგვა;</p>

		<p>პროდუქტის დაჯახების შედეგად. ელექტრო პროდუქტი ტყდება და შესაძლებელი ხდება ღია ნაწილებთან მიღწევადობა ან გადახურებულ ზედაპირთან ახლოს მუშაობის გაგრძელება</p> <p>პროდუქტის მაღალ ადგილზე მყოფი ადამიანი კარგავს ბალანსს, არ აქვს საშუალება დაეყრდნოს ან მოეჭიდოს რაიმეს და ვარდება სიმალიდან</p> <p>დაჭიმული ელასტიური დეტალი ან ზამზარა მოულოდნელად იშლება; მოძრაობის არეალში მყოფი ადამიანი იღებს დარტყმას</p> <p>წნევის ქვეშ მყოფი სითხე ან აირი მოულოდნელად გაჟონავს. ახლოვლად მდგარი პირი იღებს დარტყმას; ან პროდუქტის გაუმართაობა გამოიწვევს ნაწილების გამოსტყორცნას/გამოვარდნას</p>	<p>გაჭყლევა, ელექტრო შოკი, დამწვრობა</p> <p>სისხლჩაქცევა; ღრძობა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა/გონების დაკარგვა; გაჭყლევა,</p> <p>სისხლჩაქცევა; ღრძობა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა/გონების დაკარგვა; გაჭყლევა</p> <p>ღრძობა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა/გონების დაკარგვა; გაჭყლევა, გაჭრა (ასევე იხ. ტიპური დაზიანება ცეცხლის და აფეთქების</p>
	<p>ადამიანის ყოფნა სიმაღლეზე</p>		
	<p>ელასტიური დეტალი ან ზამზარა</p>		
	<p>წნევის ქვეშ მყოფი სითხე, აირი ან ვაკუუმი</p>		

			ზიანის ჯგუფისათვის)
კონტეკური ენერგია	<p>მოდრაფი საგანი/პროდუქტი</p> <p>ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით მოდრაფი დეტალები/ნაწილები</p> <p>მოდრაფი დეტალები, რომლებიც აცილდებიან ერთმანეთს</p> <p>მზრუნავი დეტალები</p> <p>ერთმანეთთან ახლოს</p>	<p>პროდუქტის მოძრაობის არეალში მყოფი ადამიანი იღებს დარტყმას ან ექცევა პროდუქტის ქვეშ</p> <p>ადამიანი სხეულის ნაწილს ჰყოფს მოძრავე დეტალებს შორის ვიდრე ისინი მოძრაობენ ერთმანეთის მიმართულებით ერთდროულად; სხეულის ნაწილი იჭედება და ექცევა წნევის ქვეშ</p> <p>ადამიანი სხეულის ნაწილს ჰყოფს მოძრავე სხეულებს შორის ვიდრე ისინი მიუახლოვდებიან ერთმანეთს; სხეულის ნაწილი იჭედება მოძრავე დეტალებს შორის და ექცევა წნევის ქვეშ</p> <p>ადამიანის სხეულის ნაწილს, თმას ან ტანსაცმელს ჩაითრევს მზრუნავი დეტალი; ეს იწვევს სხეულის ნაწილის დაჭიმვას</p>	<p>სისხლჩაქცევა; დაჭიმვა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა; გაჭყლეტვა</p> <p>სისხლჩაქცევა; ღრძობა, მოტეხილობა; გაჭყლეტვა</p> <p>ლაცერაცია ნაჭდევეებით, გაჭრა, ამპუტაცია</p> <p>სისხლჩაქცევა, მოტეხილობა, გაჭრა; გაგუდვა</p> <p>გაჭყლეტვა,</p>

	<p>მყოფი მზრუნავი დეტალები</p>	<p>ადამიანის სხეულის ნაწილს, თმას ან ტანსაცმელს ჩაითრევს მზრუნავი დეტალები; ეს იწვევს სხეულის ნაწილის დაჭიმვას და მის ქნევის ქვეშ მოქცევას</p>	<p>მოტეხილობა, ამპუტაცია, გაგუდვა</p>
<p>აჩქარება</p>		<p>აჩქარებულ პროდუქტზე/საგანზე მყოფი ადამიანი კარგავს წონასწორობას, არ აქვს დასაყრდნობი ან ჩასაჭიდებელი საშუალება და ეცემა გარკვეული სიჩქარით</p>	<p>ღრმობა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა, გაჭყლეტვა</p>
<p>გამოსტყორცნილი/გამოვარდნილი ნაწილები</p>		<p>გამოსტყორცნილი/გამოვარდნილი ნაწილები ეჯახებიან ადამიანს, ადამიანი იღებს დაზიანებას, რომელიც დამოკიდებულია დაჯახების სიმძლავრეზე</p>	<p>სისხლჩაქცევა, ღრმობა, მოტეხილობა, ტვინის შერყევა/გონების დაკარგვა, გაჭყლეტვა</p>
<p>რხევა/რყევა</p>		<p>ადამიანი, რომელსაც უჭირავს პროდუქტი კარგავს წონასწორობას და ეცემა; ან ხანგრძლივი კონტაქტი პროდუქტთან, რომელიც ირხევა, იწვევს ნევროლოგიურ დარღვევებს, ოსტეო-სახსროვან დარღვევას, ხერხემლის ტრამვას ან სისხლძარღვთა მოშლილობას</p>	<p>სისხლჩაქცევა, ღრმობა, მოტეხილობა, გაჭყლეტვა</p>
<p>ხმაური</p>		<p>ადამიანი დაუცველია პროდუქტით გამოწვეული</p>	

		ხმაურისაგან. შეიძლება მოხდეს სმენის დარღვევა, რომელიც დამოკიდებულია ხმის სიძლიერესა და მანძილზე	სმენის დარღვევა
ელექტრო ენერგია	მაღალი/დაბალი ძაბვა	ადამიანი ეხება პროდუქტის იმ ნაწილს, რომელზეც გადის მაღალი ძაბვა; პირი იღებს ელექტრო შოკს, რომელიც შეიძლება დაზიანდეს ან გარდაიცვალოს	ელექტრო შოკი
	სითბოს წარმოქმნა	პროდუქტი გადახურდება. მასთან შეხებით ადამიანმა შეიძლება მიიღოს დამწვრობა; პროდუქტმა შეიძლება გამოიყოს გამდნარი ნაწილაკები, ორთქლი და სხვ. რომელიც ზიანს აყენებს ადამიანს	დამწვრობა, დამძულვრა
	პირთან ახლოს მყოფი ღია ნაწილები	ელექტრული რკალი ან ნაკვეთები ჩნდება ღია დეტალებს/ნაწილებს შორის	თვალის დაზიანება, დამწვრობა, დამძულვრა
მაღალი ან დაბალი ტემპერატურა	დაუფარავი ალი	ალთან ახლოს მყოფი ადამიანი იღებს დამწვრობას, სავარაუდოდ მას შემდეგ, რაც ტანსაცმელს ეკიდება ცეცხლი	დამწვრობა, დამძულვრა
